

სარეიტინგო კომპანიები და რეიტინგული შეფასების მეთოდები

ნინო ხიდირბეგიშვილი
სტუ დოქტორანტი

რატი ბურდიაშვილი
მეცნ. ხელმძღვანელი, სტუ პროფესორი

რეზიუმე

აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) მიერ სარეიტინგო სააგენტოებისთვის მინიჭებულია „ეროვნულად აღიარებული სტატისტიკური სარეიტინგო ორგანიზაციის“ სტატუსი. სიაში პირველ რიგში შეტანილი იქნა სამი უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტო.

Standard&Poor's. განსაზღვრავს ეროვნული სახელმწიფოს საერთო კრედიტუნარიანობის, როგორც რაოდენობრივ შეფასებას ასევე ხარისხობრივ შეფასებას. **Moody's Investors Services.** ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც იკვლევენ აღნიშნული სააგენტოს ანალიტიკოსები სტანდარტულია ანუ თანხვედრაშია იმ ძირითად ინდიკატორებთან, რომლებსაც იყენებენ სხვა სარეიტინგო სააგენტოების ექსპერტები. ასევე **Moody's Investors Services-ის** იყენებს თითქმის იგივე მახასიათებლებს (მაჩვენებლის შინაარსი და/ან მისი ზღვრული (ოპტიმალური) მნიშვნელობა), რომლებსაც აქვთ ისეთივე გავლენა ქვეყნის რისკის დონეზე. **Fitch IBCA.** **Fitch IBCA-ს** ექსპერტების ქვეყნის რისკის დონის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: სარეიტინგო სააგენტო, რეიტინგი, კრედიტუნარიანობა, რისკები, Standard&Poor's, Moody's Investors Services, Fitch IBCA.

შესავალი

ფულადი სახსრების ეფექტურ განაწილებასა და გადანაწილებისათვის, ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელური ინვეტიციების განსახორციელებლად ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა ისეთი სპეციალური დაწესებულებების შექმნის საჭიროება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აღნიშნული პროცესების მონაწილეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. როგორც წესი, ევროპელი ინვესტორები ინფორმაციის მოსაპოვებლად მიმართავდნენ პრესას და შედეგად ღებულობდნენ პოსტფაქტუმ ინფორმაციას, ანუ ინფორმაციას მომხდარი მოვლენების შესახებ (ორგანიზაციების გაკოტრება, თაღლითობა და ასე შემდეგ).

რეიტინგული სააგენტოების (როგორც ერთ-ერთი ინსტიტუტის) წარმოშობამ, გადანაცვითა ბაზარზე საინფორმაციო ასიმეტრიის პრობლემა. პირველი რეიტინგული სააგენტო შეიქმნა ევროპელი ინვესტორებისათვის ამერიკული კომპანიების საქმიანობის შესახებ გამჭვირვალობის ასამაღლებლად. ფინანსური ბაზრების განვითარების პერიოდში, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში სარეიტინგო სააგენტოების მომსახურებაზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე აღნიშნულებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხოლოდ აშშ-ში.

ძირითადი ტექსტი

1975 წელს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიამ (SEC) ზოგიერთ სარეიტინგო სააგენტოს მიანიჭა „ეროვნულად აღიარებული სტატისტიკური სარეიტინგო ორგანიზაციის“ სტატუსი. სიაში პირველ რიგში შეტანილი იქნა სამი უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტო.

Standard&Poor's. განსაზღვრავს ეროვნული სახელმწიფოს საერთო კრედიტუნარიანობის, როგორც რაოდენობრივ შეფასებას ასევე ხარისხობრივ შეფასებას. ანალიზის რაოდენობრივი ასპექტები მოიცავენ ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლებს, მაშინ როდესაც მონაცემების ანალიზი მათ ერთობლიობა-

ში წარმოადგენს ხარისხობრივი შეფასების საგანს. ანალიზის ხარისხობრივი მახასიათებლები განპირობებულია არიან პოლიტიკური და სტრატეგიული მოვლენების მნიშვნელოვნებით და ასევე იმ ფაქტორით, რომ Standard&Poor's-ის რეიტინგების მეშვეობით შესაძლებელია მივიღოთ წარმოდგენა სახელმწიფო-ებრივი ვალის მომსახურების სამომავლო პოტენციალზე.

საკრედიტო რეიტინგები ასახავენ Standard&Poor's-ის საკრედიტო რეიტინგების სამსახურის აზრს სუვერენული სახელმწიფოების მიერ საკუთარი ვალდებულებების დროულად და სრული მოცულობით შესრულების მზაობისა და უნარის შესახებ. Standard&Poor's-ი განსაზღვრავს დაახლოებით 113 ქვეყნის სუვერენულ რეიტინგს.

სტრუქტურა, რომლის ჩარჩოშიც მიმდინარეობს ეროვნული მთავრობების ანალიზი შედგება ცხრა კატეგორიიდან. სარეიტინგო კომიტეტის მუშაობის პროცესში ყოველი ეროვნული მთავრობის შეფასება მიმდინარეობს ერთიდან (ყველაზე მაღალი შედეგი) ექვს ქულამდე ანალიზის ყოველი ცხრა კატეგორიის მიხედვით. ამასთანავე არ არსებობს რეიტინგების განსაზღვრისათვის ქულების ამგვარად დაწერის აგრეგირების ზუსტი ფორმულა. ანალიტიკური ცვლადები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ხოლო ხვედრითი წონები კი არ არის ფიქსირებული არც ეროვნული მთავრობების მიხედვით და არც დროითი ინტერვალების მიხედვით. კატეგორიების უმრავლესობა ითვალისწინებს ეკონომიკურს და პოლიტიკურ რისკებს, როგორც საკრედიტო რისკის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს. ეკონომიკური რისკი გამოხატავს მთავრობის მიერ საკუთარი სავალ ვალდებულებების დროულად შესრულების უნარს. ამგვარი რისკი ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ფაქტორებთან. პოლიტიკური რისკი კი ასახავს ეროვნული მთავრობის ვალდებულებების შესრულების მზაობას.

პოლიტიკური რისკი:

- პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობა და ლეგიტიმურობა;

- საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში;
- ქვეყნის ხელმძღვანელობაში პოლიტიკური მემკვიდრეობის პასუხისმგებლობა;
- ეკონომიკური პოლიტიკის, მისი გადაწყვეტილებებისა და მიზნების გამჭვირვალობა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
- გეოპოლიტიკური რისკი.

ეკონომიკის შემოსავალი და სტრუქტურა:

- დივერსიფიკაციისა და საბაზრო ორიენტაციის ხარისხის განვითარების დონე;
- ეკონომიკური უთანასწორობა;
- ფინანსური სექტორის ეფექტიანობა; კრედიტებით უზრუნველყოფის უნარი;
- კონკურენტუნარიანობა და არაფინანსური კერძო სექტორის რენტაბელობა;
- სახელმწიფოებრივი სექტორის ეფექტიანობა;
- პროტექციონიზმი და სხვა არასაბაზრო ფაქტორები;
- შრომითი ბაზრის მოქნილობა.

ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები:

- დანაზოგები და ინვესტიციები;
- ეკონომიკური ზრდის ხარისხი და მოდელი.

ფინანსური მოქნილობა:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, პროფიციტის ან დეფიციტის ტენდენციები;
- შემოსავლების ეფექტიანობისა და მოქნილობის ამაღლება;
- ხარჯების ეფექტიანობა;
- ანგარიშგების დროულობა, მოცულობა და გამჭვირვალობა;
- საპენსიო ვალდებულებები.

სახელმწიფოს სავალ ვალდებულებები:

- სახელმწიფოს ვალდებულებები (ბრუტო და ნეტო), როგორც მშპ-ს პროცენტი;
- ვალდებულებების მომსახურება (შემოსავლების წილი);
- ვალდებულებების სტრუქტურა (ვალუტისა და დაფარვის ვადების მიხედვით);

- კაპიტალის ეროვნული ბაზრის მოცულობა.

ოფშორული და პირობითი ვალდებულებები:

- საზოგადოებრივი სექტორის არაფინანსური სანარმოების სიდიდე და მდგომარეობა;

- ფინანსური სექტორის მდგრადობა.

მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა:

- ეკონომიკურ ციკლებზე დამოკიდებული საფასო პოლიტიკა;

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;

- სავალუტო რეჟიმი და მონეტარული პოლიტიკის მიზნები;

- ინსტიტუციონალური ფაქტორები, კერძოდ ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა;

- მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების სტრუქტურა და ეფექტიანობა.

საგარეო ლიკვიდურობის მაჩვენებლები:

- საგარეო ანგარიშებზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გავლენა;

- მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების სტრუქტურა;

- რეზერვების ადეკვატურობა.

საგარეო ვალები:

- საგარეო ვალდებულებები (ბრუტო და ნეტო), დეპოზიტებისა და სტრუქტურირებული ვალების ჩათვლით;

- ვალდებულებების დაფარვის სტრუქტურა, ვალუტის მიხედვით ვალის სტრუქტურა, საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებისადმი მგრძნობიარობა;

- ვალების მომსახურება.

Standard&Poor's-ის გრძელვადიანი რეიტინგები აფასებენ ემიტენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების დროულად შესრულების უნარს. აღნიშნული რეიტინგები ვარიირებენ უმაღლესი AAA კატეგორიიდან ყველაზე დაბალ D კატეგორიამდე. რეიტინგებში AA-დან CCC-მდე ინტერვალში შესაძლებელია დამატებული იქნას პლიუს (+) და მინუს (-) მნიშვნელობები, რომლებიც ძირითადი კატეგორიების მიმართ აღნიშნავენ გარდამავალ სარეიტინგო კატეგორიას. AAA, AA, A და BBB კატე-

გორიები წარმოადგენენ საინვესტიციო კლასის რეიტინგებს. BB, B, CCC, CC და C სარეიტინგო კატეგორიები მნიშვნელოვანი სპეკულაციური მახასიათებლების მატარებლები არიან.

განასაზღვრული მნიშვნელობა გააჩნიათ სარეიტინგო პროგნოზებსაც, ანუ კონკრეტული რეიტინგის დინამიკის შეფასება მომავალში. არსებობს საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზული შეფასებები. აღნიშნულები ასახავენ ცვლილებების პოტენციურ მიმართულებას, მაგრამ არ წარმოადგენენ მის საფუძვლედ პირობას. მაგალითად **Standard&Poor's**-ი აფასებს რეიტინგის დინამიკის ტენდენციას, რომელიც წარმოაჩენს მის შესაძლებელ მიმართულებას ორი-სამი წლის განმავლობაში, ოთხი კატეგორიის მიხედვით: 1. „პოზიტიური“ - შესაძლებელია რეიტინგის აწევა; 2. „ნეგატიური“ - შესაძლებელია რეიტინგის დაწევა; 3. „სტაბილური“ - ცვლილების ალბათობა დაბალია; 4. „განვითარებადი“ - შესაძლებელია რეიტინგის აწევა და დაწევა.

Moody's Investors Services. ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც იკვლევენ აღნიშნული სააგენტოს ანალიტიკოსები სტანდარტულია ანუ თანხვედრაშია იმ ძირითად ინდიკატორებთან, რომლებსაც იყენებენ სხვა სარეიტინგო სააგენტოების ექსპერტები. ასევე **Moody's Investors Services**-ის იყენებს თითქმის იგივე მახასიათებლებს (მაჩვენებლის შინაარსი და/ან მისი ზღვრული (ოპტიმალური) მნიშვნელობა), რომლებსაც აქვთ ისეთივე გავლენა ქვეყნის რისკის დონეზე.

ქვეყნის რისკის დონის რაოდენობრივი ანალიზი **Moody's Investors Services**-ის ექსპერტები წარმართავენ ექვსი ცალკეული ფაქტორის მნიშვნელობების განსაზღვრის გზით, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის შესაძლებლობას სრული მოცულობითა და ვადებში შესრულებული იქნას მათი ვალდებულებები.

1. ლიკვიდურობა. ახასიათებს ვალის მომსახურების მიმდინარე უნარს:

- რეზერვების სიდიდეს პროცენტებში საგადასახდელ ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან მიმართებაში;
- რეზერვების სიდიდე (დინამიკაში) დეფიციტის დაფარვისათვის იმპორტის მიხედვით.

2. ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა. ფაქტორი, რომელიც გამოიყენება ვალის მომსახურების მიმდინარე და პერსპექტიული უნარის განსაზღვრისათვის. აღნიშნულ ანალიტიკურ ბლოკში გამოითვლება შემდეგი მაჩვენებლები:

- მშპ-ს ზრდა (კლება) ერთ სულ მოსახლეზე;
- მშპ-ს ფაქტიური ზრდა (კლება);
- ბიუჯეტის შევსების წყაროების და მისი ხარჯების სტრუქტურა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის წლიური სიდიდის 3%-ს;
- ელექტროენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე;
- საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეების პროცენტი.

3. ფინანსური სტაბილურობის დონე სტატიკაში, დინამიკაში და პროგნოზის ელემენტებით:

- სამომხმარებლო საქონელზე ფასების ინდექსის დინამიკა;
- მშპ-სთან მიმართებაში ფულადი რეზერვებისა და ფულადი მასის სიდიდე პროცენტებში.

4. საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა. ახასიათებს ნაღდი ფულის ნაკადებისა და ფინანსური ურთიერთკავშირების შეფასებას:

- ექსპორტის დონის ზრდა (კლება);
- საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და სალდო;
- წმინდა პირდაპირი ინვესტიციების სიდიდე, როგორც პროცენტი, საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან.

5. ფინანსური სტიმულები. ამ ფაქტორის დონე ამოწმებს ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ფულად-საკრედიტო ხელისუფლების უნარს მიმართონ სავალუტო რესურსები პროდუქტიულ ბაზრებზე ქვეყნიდან კაპიტალის გადინების საწინააღმდეგოდ. ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების ანალიზი: ყველა სახის საპროცენტო განაკვეთების ფაქტიური დონე. საპროცენტო განაკვეთები საბანკო კრედიტების მიხედვით, მაგალითად, ექვემდებარებიან ისეთი ფაქტორების კომბინირებულ გავლენას, როგორიცაა საკრედიტო რესურსებზე მოთხო-

ვნა-მინოდების ცვლილებები.

6. შიდა და საგარეო ვალების სიდიდე და მომსახურება. ამ ფაქტორის სიდიდე ასახავს მიმდინარე ვალის მნიშვნელობას მიმდინარე შემოსავლებთან და სავალუტო რესურსებთან შედარებით:

- სახელმწიფო საგარეო ვალი პროცენტებში მშპ-თან მიმართებაში;

- საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტი (სავალო გადახდების მოცულობის შეფარდება საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან).

Fitch IBCA. Fitch IBCA-ს ექსპერტების ქვეყნის რისკის დონის შეფასების მეთოდიკა ეფუძნება ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზს: **16** ეკონომიკური, **5** სოციალური და **7** პოლიტიკური. ანალიზი ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით დაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე.

ეკონომიკურ ფაქტორებს შორის ყველაზე არსებითებს წარმოადგენენ:

- მეპ-ს განაწილებისა და გადანაწილების სტრუქტურისა და სიდიდის დინამიკა;

- ინფლაციისა და ფაქტორების დინამიკა, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნიათ სამომხმარებლო ფასების ინდექსზე;

- მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების წარმოებისას დანაკარგები;

- საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში;

- ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი;

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი და შუალედური მიზნები და მათი მიღწევადობის ხარისხი და ალბათობა;

- საგარეო და შიდა სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ვალდებულებების სტრუქტურა;

- საგადახდებლო ბალანსის სტრუქტურა;

- სავაჭრო ბალანსის სტრუქტურა.

უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფაქტორებს მიეკუთვნები-

ან პოლიტიკური სტაბილურობის დონე და აუნაზღაურებადი ნაციონალიზაციის საშიშროება. მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორებია:

- ერთ სულ მოსახლეზე მეპ-ის სიდიდე;
- სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტების მიღების პირობები.

სავალო რეიტინგების სიმბოლოები და აღნიშვნები არის რთული იდეების მარტივი წარმოდგენა. თავისი არსით ისინი წარმოადგენენ განზოგადებულ აზრს. ფინანსური ბაზრის მონაწილეებისათვის მსხვილი სააგენტოები იყენებენ მსგავს სიმბოლოებს. ობლიგაციების რეიტინგებში ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს **Moody's** მიერ ზოგიერთ რეიტინგებში გამოყენებული დიდი და პატარა ასოების ნაკრები (მაგალითად **Moody's** იყენებს – **Aaa**, ყველა დანარჩენი კი - **AAA**).

გრძელვადიანი ვალდებულებების სარეიტინგო შკალები
(ცხრილი 1)

S&P, Fitch	Moody's	ინტერპრეტაცია
საინვესტიციო რეიტინგები		
AAA	Aaa	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების უმაღლესი უნარი
AA+	Aa1	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების მაღალი უნარი
AA	Aa2	
AA-	Aa3	
A+	A1	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების ზომიერად მაღალი უნარი
A	A2	
A-	A3	
BBB+	Baa1	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების საკმარისი უნარი, მაგრამ უფრო მაღალია მგრძნობელობა არასასურველი ცვლილებების ზემოქმედების მიმართ კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში.
BBB	Baa2	
BBB-	Baa3	

სპეკულაციური რეიტინგები		
BB+	Ba1	მოკლევადიან პერსპექტივაში უსაფრთხო, მაგრამ უფრო მაღალია მგრძნობელობა არასასურველი ცვლილებების ზემოქმედების მიმართ კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში.
BB	Ba2	
BB-	Ba3	
B+	B1	არასასურველი კომერციული, ფინანსური და ეკონომიკური პირობების არსებობის დროს უფრო მაღალია დაუცველობა, მაგრამ არსებულ მომენტში გააჩნია შესაძლებლობა შეასრულოს სავალ ვალდებულებები ვადაში და სრული მოცულობით.
B	B2	
B-	B3	
CCC+	Caa1	მოცემულ მომენტში არსებობს ემიტენტის მიერ საკუთარი სავალ ვალდებულებების პოტენციური შეუსრულებლობის შესაძლებლობა; სავალ ვალდებულებების დროული შესრულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ ხელსაყრელ პირობებზე.
CCC	Caa2	
CCC-	Caa3	
C	Ca	ემიტენტის მიმართ აღძრულია გაკოტრების პროცედურა ან დანყებულია ანოლოგიური მოქმედება.
D	D	სავალ ვალდებულებების მიმართ დეფოლტი

დასკვნა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის მოპოვება და შემდგომ მისი დამუშავება. აღნიშნულის დამოუკიდებლად განხორციელება რთულია მსხვილი კომპანიებსათვისაც კი, ვინაიდან არც მათ არ გააჩნიათ რესურსების საკმარისი რაოდენობა ამგვარი ოპერაციების ჩასატარებლად. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფასიანი ქაღალდებისა და კომპანიების რისკების დამოუკიდებელი შეფასებები. რეგულარული ექსპერტიზის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენენ სარეიტინგო სააგენტოების რე-

იტინგები, რომლებშიც ბიზნეს გადანყვეტილების მიღებისას გამოქვეყნებულია რისკის დამოუკიდებელი და კომპლექსური შეფასებები.

რეიტინგის მაჩვენებლები კომპაქტურ და მოცულობით ფორმაში ახასიათებენ ქვეყნის რისკის მდგომარეობასა და ცვლილებების პერსპექტიულ ტენდენციებს, რომლებიც გადანყვეტილებების მიღებისას და საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში თამაშობენ ინდიკატორების როლს. რეიტინგის მიმდინარე დონე და მისი ცვალებადობის დინამიკა ერთგვარი სიგნალია თანამშრომლობის დასამყარებლად, გასაღრმავლებლად და შესანყვეტად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, გვ. 400.

2. Risk management Foundations for Changing Financial World Walter v. „Bud” Haslett Jr., CFA, Editor p. 800.

3. https://books.google.ge/books?id=hKjLCgAAQBAJ&pg=PA116&dq=Risk+Management+fitch+2016&hl=ru&sa=X&ved=0ahUK EwiA_5zQxqrSAhVJIMAKHbGYDMMQ6AEIGDAA#v=onepage&q=Risk%20Management%20fitch%202016&f=false უკანასკნელად იქნა გადამონმებული -11.02.2017.

4. https://books.google.ge/books?id=km8A81WgIN4C&pg=PA-24&dq=Risk+Management+S%26P&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwip4NfexarSAhVIjCwKHe_GCjEQ6wEIKDAC#v=onepage&q=Risk%20Management%20S%26P&f=false უკანასკნელად იქნა გადამონმებული -11.02.2017.

REFERENCES:

1. Ingorokva A., Chkhaidze Z., Tsaava G. Banking information systems and technologies. Tbilisi: Georgia Tech University, 2009, p. 400.

2. Risk management Foundations for Changing Financial World

Walter v. „Bud” Haslett Jr., CFA, Editor p. 800.

3. https://books.google.ge/books?id=hKjLCgAAQBAJ&pg=PA116&dq=Risk+Management+fitch+2016&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwiA_5zQxqrSAhVJIMAKHbGYDMMQ6AEIGDAA#v=onepage&q=Risk%20Management%20fitch%202016&f=false

4. https://books.google.ge/books?id=km8A81WgIN4C&pg=PA24&dq=Risk+Management+S%26P&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwip4NfexarSAhVljCwKHe_GCjEQ6wElKDAC#v=onepage&q=Risk%20Management%20S%26P&f=false

RATING COMPANIES AND THEIR ASSESSMENT METHODS

Nino Khidirbegishvili, PhD student, GTU

Rati Burdiashvili, Professor, GTU

RESUME

The U.S. Securities and Exchange Commission granted the rating agencies with the status of Nationally Recognized Statistical Rating Organization. The top three major agencies were added to the list. Standard&Poor's. Defines the states national general creditworthiness, such as both quantity and qualitative assessments. Moody's Investors Services. The main factors which are investigated by the analysts of the mentioned agencies are standard, that is, they are consistent with the main indicators, which are used by the other rating agencies and experts. In addition, Moody's Investors Services uses almost the same characteristics (content of the index and/or the marginal(optimal) value), which have the same impact on the risk level of the country.

Fitch IBCA. Fitch IBCA The assessment methods of risk levels by experts are based on the analysis of the ratio of dynamics,

Keywords: Rating agency, rating, creditworthiness, risks, Standard & Poor's, Moody's Investors Services, Fitch IBCA.